საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# განკარგულება №79

2024 წლის 28 ოქტომბერი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

2. განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მიმოხილვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

**მთავრობის თავმჯდომარე** **თორნიკე რიჟვაძე**